# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 90 — ოთხშაბათი, 13 ნოემბერი, 1918 წ. — № 90



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს 13 ნოემბერს

მ. ი. ალეშკოსა, ტ. ორდას და ვ. ა. ბერეზინის მონაწილეობით **ტოსკა** ოპერა სამ მოქმედებად, მუსიკა პუჩინისა. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ძველი დროით. დირიჟორი ი. ა. სამოსუდი
ხუთშაბათს, 14 ნოემბერს ო. ა, შულგინას და ბ. ი. ზალიპსკის მონაწილეობით „ვერტერი“.

## ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

## ქართული ლატარია

5 000 000 მან.

**ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.**

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

***

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტკლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!

მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას!

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!


# ხარჯთაღრიცხვა

## გარეშე საქმეთა სამინისტროსი 1918 წლისათვის.

I. დამტკიცებულ და ამა 1918 წ. ივლისის პირველიდან მიღებულ იქნეს ამ კანონთან დართული გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

II. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინის თანხიდან ამ კანონის 1 მუხ. აღნიშნული ხარჯებისათვის ოთხას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდა ათი (497550) მან.

შემდეგის განაწილებით: 1) შტატის შესანახავად 102550 მან., 2) საკანცელარიო ხარჯისათვის 7000 მან. 3) ბინის დასაქირავებლად 6000 მან., 4) გათბობისა და სხვა საშინაო ხარჯისათვის 7000 მან., 5) უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისაღებად 150000 მ., 6) საქართველოს წარმომადგენელთა შესანახად 125000 მან. და 7) მინისტრის განკარგულებაში 100000 მან.

| №№ რიგზე. | თანამდებობა. | რიცხვი. | წლიური ჯამაგირი თითოეულის. | წლიური ჯამაგირი ყველას. | 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | მინისტრი | 1 | 18000 | — | — |
| | მისი ამხანაგი | 1 | 16200 | — | — |
| 1 | კანცელარიის დირექტორი | 1 | 12000 | 12000 | 7000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 10800 | 10800 | 6300 |
| 3 | მინისტრის მდივანი. | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| 4 | მინისტრის ადიუტანტი | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 2 | 7200 | 14400 | 8400 |
| 6 | მისი თანაშემწე | 3 | 5400 | 16200 | 9450 |
| 7 | თარჯიმანი უფროსი | 1 | 12000 | 12000 | 7000 |
| 8 | თარჯიმანი უმცროსი | 2 | 9600 | 19200 | 11200 |
| 9 | ბუხჰალტერი | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| 10 | მანქანით გადამწერნი | 4 | 4800 | 19200 | 11200 |
| 11 | გადამწერი | 4 | 4800 | 19200 | 11200 |
| 12 | რეგისტრატორი | 1 | 4800 | 4800 | 2800 |
| 13 | მეტელეფონე | 1 | 4800 | 4800 | 2800 |
| 14 | შიკრიკი | 6 | 3600 | 12600 | 12600 |
| | ჯამი . . . | — | — | 175800 | 102550 |

### დამატება.

| | |
|---|---|
| 1. საკანცელარიო ხარჯი | 7000 |
| 2. ბინის ქირა. | 6000 |
| 3. განათება და სხვა საშინაო ხარჯები | 7000 |
| 4. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიღება | 150000 |
| 5. საქართველოს წარმომადგენელთა შენახვა | 125000 |
| 6. მინისტრის განკარგულებაში | 100000 |
| ჯამი . . | 395000 |
| სულ . . . . . . | 497550 |

1918 წ. ნოემბრის 5.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.


## საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა

ამა წლის გიორგობისთვის 23-ს ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ. № 11, საქართველოს სახალო სახლი) მოწვეულია საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა.

პარტიის თითეული ასი წევრი გზავნის ყრილობაზე ერთ წარმომადგენელს, ხოლო იმ ადგილებიდან, სადაც მოიპოვება არა ნაკლებ პარტიის ოცი წევრისა, იგზავნება ყრილობაზე აგრეთვე თითო წარმომადგენელი.

ყრილობის წესრიგი: 1) მთავარ კომიტეტის მოხსენება, 2) საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება, 3) მომენტი და ტაქტიკა, 4) საპარლამენტო ფრაქციის პოზიცია, 5) აგრარული საკითხი, 6) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 7) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 8) მთავარ კომიტეტის არჩევნები. ყრილობა გაიხსნება შუადღის თორმეტ საათზე.

3—141—2.

**მთავარი კომიტეტი.**


## ოფიციალური განყოფილება

### კანონი

**შავი ზღვის რკინის გზის დამთავრებისა.**

1. დაევალოს გზათა მინისტრს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის გამგებლობასა და განკარგულებაში შავი ზღვის რკინის გზა, რომელიც ჯერ დამთავრებული არ არის და რომელიც საქართველოს ტერიტორიის საზღვრებშია.

2. რკინის გზის ამ ნაწილის მისაღებად, შესანახად და დასაცავად 1918 წლის ოქტომბრის პირველიდან წლის დამლევამდე მიეცეს გზათა მინისტრს ავანსად ხაზინიდან სამასი ათასი (300.000) მანეთი.

3. მიენდოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ შეუდგეს ამ გზის ნაწილის დამთავრებას ახალსენაკიდან ზუგდიდამდე და ამისათვის გაეხსნას კრედიტი სამი მილიონი ოთხას ათასი (3400.000) მანეთისა, თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთაღრიცხვისა.

4. დაევალოს გზათა მინისტრს ერთის თვის განმავლობაში მოახდინოს გამოკვლევა ტრასის შეცვლისა, რათა ხსენებულმა რკინის გზამ გაიაროს ქ. ზუგდიდში.

1918 წ. ნოემბრის 5.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## არა ოფიციალური განყოფილება

**ტფილისი, 13 ნოემბერი.**

უკვე დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის მუშაობა. ეს უბრალო საქრონიკო ამბავი არ არის. არა!

ეს შეიკრიბა და მოქმედებს ის პარტია, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა რუსეთის დიდი რევოლიუცია და მისი შედეგები, როგორც რუსეთში, ისე აქ, ამიერ-კავკასიაში და საქართველოში.

ეს მუშაობა დაიწყო იმ დიდმა პარტიამ, რომლის მოღვაწეობამ და დაუდგრომელმა თავდავიწყებითი სახელოვანმა ბრძოლამ გადაარჩინა ჩვენში რევოლუცია, არამც თუ მარტო გადაარჩინა, არამედ განამტკიცა და დაამკვიდრა და კვლავ განაგრძობს მის საფუძვლებზე დიადი დემოკრატიული შენობის აგებას და საერთაშორისო დემოკრატიასთან ერთად მსოფლიო ბრძოლას.

ეს პარტიაა, რომლის ბრძნულმა პოლიტიკამ საქართველო იხსნა გაჟლეტა-აოხრება-განადგურებისაგან, რომლის გულ-მკერდზე გადაიარა საშინელმა სამუმმა და ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა შესძლო ყოველთვის გამარჯვებული გამოსულიყო.

ეს პარტიაა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს დღესაც, რომლის მებრძოლ დროშის ქვეშ დარაზმულია დემოკრატიული საქართველო.

ეს პარტიაა, მაგრამ განა დღეს ჩვენ შეგვიძლია ავწონ-სხოთ და დავაფასოთ ის დიადი მოღვაწეობა-ბრძოლა, რომელსაც ეს პარტია თავგამოდებით აწარმოებდა და აწარმოებს...

და შეიკრიბა ამ პარტიის ყრილობა. მოვიდნენ აქ, დედაქალაქ ტფილისში, მისი ამშენებელნი და დამცველნი. და მათ უნდა გადაავლონ თვალი წარსულს, გაუსწორონ ანგარიში აწმყოს და გაითვალისწინონ მომავალი.

ყრილობა, ალბათ, სიამოვნებით აღნიშნავს იმ დიდ და დიად სწორ აუცილებელ, მიზანშეწონილ და კანონზომიერებასთან შეფარდებულ პარტიის ხელმძღვანელთა მუშაობას და არ გადაუხვევს იმ დიად გზას, რომელსაც მივყევართ თავისუფალ, დამოუკიდებელ, დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატიულ საქართველოს განმტკიცება-გამაგრებისაკენ და რომელიც სავსებით და სრულობრივ ეთანხმება ინტერნაციონალის დიად პრინციპს: ხალხთა ძმობა-ერთობა-თავისუფლებას.

ჩვენ მოველით, რომ პარტია სათანადოთ დააფასებს თვის ხელმძღვანელთა პოლიტიკას, მადლობას ეტყვის მათ და გახალისებული, დარაზმული კვლავ განაგრძელებს თავის სასახელო ბრძოლას და საერთაშორისო დემოკრატიასთან ერთად გასწევს ბრწყინვალე მომავალისაკენ.

* * *

თავბრუდამხვევი ელვისებური სისწრაფით ვითარდება დასავლეთ ევროპაში ამბები. აღარ ჩამოვთვლით მას, რის შესახებ გუშინ ვილაპარაკეთ. მიუმატებთ კიდევ მეტათ მნიშვნელოვან ამბებს: რომ იმპერატორი ვილჰელმი მე-II აღარ განაგებს ტახტიდან, რომ ლიბერალური მაქს ბადენელის მთავრობა, რომელიც ამ ახლო წარსულში შესდგა, უკვე დაეცა და სახელმწიფოს სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ებერტის და შეიდემანის მეთაურობით. რომ გერმანიის სხვა და სხვა ქალაქში შესდგა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებში. რომ მემარცხენე ფრთა მოითხოვს დაუყონებლივ სოციალისტურ რევოლიუციის განმტკიცების დაწყებას და გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკათ გამოცხადებას. ასეთი არის ის კანტი-კუნტი ცნობები, რომელიც ჩვენამდე აღწევს. საით გასწევს გერმანიის რევოლიუცია? მიიღებს იგი ზოგადათ იმ გეზს, რომელსაც გაჰყვა რუსეთის რევოლიუცია თუ არა? აი — საკითხები, რომელიც ჩვენს წინ იჭრება და რომელზეც, თუ მივიღებთ მხედველობაში სოციალური განვითარების ობიექტიურ პირობებს, დღეს მხოლოდ ერთი რამეს თქმა შეიძლება: რომ გერმანიის რევოლიუცია ანარქიათ არ გადაიქცევა და რღვევასთან ერთად დაიწყებს მკვიდრ საამშენებლო მუშაობას, რომელიც მიმართული იქნება სრულ დემოკრატიზაციისაკენ.

# საქართველოს პარლამენტის ნოემბრის 7 სხდომა

## მთავრობის თამჯდომარის ნოე ჟორდანიას მეორე სიტყვა

(გაგრძელება)

დღეს თავისთავათ ცხადია, რომ დღევანდელ შეკითხვაში არის ლაპარაკი არა მარტო ლტოლვილთა შესახებ, ეს არის საბაბი, ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ეს შეკითხვა.

აქ არის კითხვა იმ აგიტაციის შესახებ, რომელსაც ეწევა ერთი ჯურის პრესა. და როცა ბატონი ზორიანი გამოვიდა აქ თქვენ მოისმინეთ, რომ მას სურდა, დღევანდელი აგიტაცია ჩვეულებრივად გაე'ადა არა მარტო მათ პრესაში, არამედ ჩვენს პრესაში. ეს არ არის მარტო ჩვენ პრესაშიო, არამედ ეს არის თქვენ პრესაშიც — სთქვა მან. უნდა ვსთქვა, რომ ეს ასე არ არის. ესეთი ჩვეულებრივი მოვლენა არც მათ პრესაში ყოფილა. არ ყოფილა ასეთი ტონი, ასეთი ანშლაგები, როგორიც არის გაზეთ „ჰორიზონში“. უნდა ვსთქვა, რომ მე არ ვიცი სომხური, მაგრამ (აჩვენებს „ჰორიზონის“ ნომერს საბჭოს) არ ვიცი არის თუ არა სხვაგან ასეთი ანშლაგები. აქ ბევრი რამ სწერია. რა სწერია ყველა ნომერში არ ვიცი. (ხმა: თვითონ მაგათ წააკითხეთ) მაგრამ აი ერთგან ასეთი მოწოდებით თავდება: მოითხოვეთ ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ სამშობლოში. ე. ი. ხალხს უწოდებენ, რომ ჩვენგან მოითხოვონ ლტოლვილების უკან დაბრუნება. ჰოდა, უნდა მოგვთხოვონ ლტოლვილების დაბრუნება, თითქოს ჩვენ ვიჭერთ ამ ლტოლვილებს. ეს ისეთი საზიზღარი პროვოკაციაა, რომ ამის მსგავსი ჰორი ჯერ ჩვენ არ გვსმენია (ტაში. ხმაურობა, დამახასიათებელი სომხების) ანდა ამისთანა აქ მოწოდება არის ან ასე იწყება (როგორც უკანასკნელი იმედი — დარჩენილი კითხულობს) ანდა აი ამათი ტონი კამათისა. აქ სწერია (ჩვენ ვევედრებით. — კითხულობს) აი ამას უძახის ბ. ზორიანი ლიტერატურულ ტონს (სპ. კედია: საზიზღრობაა! ხმა: ზიზღი) არ ვიცი არის თუ არა ასეთი კუთხე, სადაც მოიძებნებოდეს პრესის თავისუფლება, სადაც ასეთი რამ დაწერილიყოს. ასეთ რეკლამებს, ასეთ ტონს პრესისას ადგილი აქვს მხოლოდ სომხურ პრესაში. ჩვენ პრესის თავისუფლებას ვიცავდით, მაგრამ ამას არ ჰქვიან პრესის თავისუფლება. ეს არის ხალხის გაბრიყვება, ეს არის შუღლის დათესვა (ვეშაპელი: ინგლისის მოლოდინში) არა მგონია, რომ ინგლისელებმა, თუ მართლა მოახლოვდნენ, ეს მათ მოიწონონ (ტაში) სამწუხაროდ ამის ავტორები რასაც აკეთებენ ეს მათი ნაკეთები მათვე წინააღმდეგ დგება. ეს იციან ყველამ. ამიტომ ვამბობ, რომ პრესის თავისუფლებას ვიცავ მეთქი. მაგრამ ვერ დავაფარებთ ხელს პრესის ბოროტ-მოქმედებას. აქ უნდა იყოს გარკვეული ერთის მხრივ პრესის თავისუფლება და მეორეს მხრივ პრესის ბოროტება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თვითონ დაშნაკელთა პარტიაში მთელ მის მასაში ამ მხრივ არ არის თანხმობა. უმეტესი ნაწილი ამ მთელისა, ასე არ ფიქრობს. მათი აზრი გამოიხატება იმ მუშის ამონაკვნესში, რომელიც დელეგაციაში იყო და გვეხვეწებოდა, — გვიშველეთ, რომ ასეთი შუღლი არ ჩამოვარდესო. ეს იწერება არა მასის გავლენით, ეს არის ამონახეთქი არა მასის გულიდან, არამედ ეს იწერება ორიოდე ჯგუფის მიერ, რომლებიც იცავენ თავიანთ ჯგუფურ ინტერესებს. არსებობს განსხვავება მასსასა და მათ მეთაურებს შორის. მე მგონია, რომ როცა თვითონ მასსა გაიგებს ჩვენს სიმართლეს, რომ ყოველივე ეს, რაც აქ სწერია, არის მარტო ტყუილი, მაშინ იტყვიან „ჰორიზონი“ ჩვენ გვატყუებსო. აი ეს მასსა დაინახავს იმას და ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენს საქართველოში არ მოხდება ის, რაც ამ ლიდერებმა მოახდინეს სხვაგან, სხვა კუთხეში. ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით და იმ გზას ვადგევართ, რომ თვითონ ხალხის მასსა მათ პროვოკაციას უდგია კრიჭაში. თვით სომხის ხალხი დარწმუნდება, რომ აქ პროვოკაცია არის, არ არის სიმართლე და არის სიყალბე.

აქ სთქვა ბატონმა ზორიანმა და დაამოწმა ჩემი სიტყვა, რომ მართლაც მაყაშვილს აქვს ნდობა და მე სწორედ მაყაშვილთან მქონდა ლაპარაკი. ჩვენ ტელეგრაფით ვლაპარაკობდით, მან არ იცოდა რა ხდებოდა აქ და ჩვენც არ ვიცოდით რა ხდებოდა იქ. რაც მან ილაპარაკა ის მოწმობს, თუ რანაირი საღი შეხედულობისაა თვით მასსა, სომხის მასსა. მათ თავიანთ ღვდლის შესახებ დაუდგენიათ-თავიდან მოგვაშორეთო. აქედან ნათლად სჩანს, რომ თვით სომხის მასსა არკვევს თუ საიდან არის მტერი და საიდან მეგობარი.

შევეკითხეთ როგორ უყურებს ჩვენი მთავრობა იქაურ ლტოლვილებს. შევეკითხე აგრეთვე, რომ თქვენი აზრით სცნობთ, თუ არა აუცილებელ საჭიროებად, თუ ოსმალები გაუშვებენ ლტოლვილებს გააყოლოთ რაიმე დამცველი ნაწილები, რადგან თუ არ გააყოლებთ შეიძლება სახიფათო იყოს. აი ამის შესახებ იწერება (კითხულობს მაყაშვილის პასუხს). აქედან ხედავთ, რომ თვით სომხის ხალხი, რომელიც იქ არიან ჩვენ გვიცქერიან დიდი ნდობით და თვით ჩვენი გენერალი და ჯარი იმ აზრს ადგიან, რომ უნდა გავგზავნოთ ლტოლვილები. აქ კი ერთ მხრივ ხალხს ატყუებენ და ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ლტოლვილებს არ უშვებთ და მთელი სომხის ხალხი წინააღმდეგიაო.

აქ ბატონმა ზორიანმა დაასახელა კომისია და სთქვა, რომ საქმე გაჭიანურდა და ალბად თქვენი ბრალი უნდა იყოსო. ალბად ბატონმა ზორიანმა არ იცის საქმის ვითარება (ხმა: იცის). სამწუხაროდ, ალბად არ იცის, რადგან ეს ქაღალდი (მიუთითებს ნოტაზე) არ ექნება წაკითხული.

26 იმ თვეს მივიღეთ ნოტა აქაურ ოტომანის მისიისაგან. აქ განსაზღვრულია კომისიის კომპეტენცია ეს ფრანგულად სწერია. ამ ნოტაში სწერია კომისიამ უნდა დაამტკიცოს ლტოლვილების ვინაობა, უნდა შეადგინოს მათი ნუსხა და დასახელება უნდა მოხდეს თანახმად იმ გეგმისა, რომელსაც შეიმუშავებს ოსმალეთის სარდლობა. ასეთი იყო ეს ნოტა, ასეთია ეს ინსტრუქცია.

ჩვენ კომისიაში გავგზავნეთ რუხაძე. იქ იყვნენ წარმომადგენლები სომხებისაც. ეს რომ მოისმინეს, სთქვეს, რომ ასეთი ინსტრუქცია მიუღებელია, შეუძლებელია, კაცო, ეხლა ლტოლვილების ვინაობის დამტკიცება და მათი აღწერა. ამასთან მათი დასახელება იმ გეგმით, რომელიც მათ მიერ არის შემუშავებული. თქვენ იცით, რომ აქ ბევრი სოფლებია ქართული და სომხური დაჭერილი მუსულმანების მიერ, მაშასადამე აუცილებელი იქნება, რომ ალბად ოსმალების სარდლები მიერეკებიან ლტოლვილებს და ბევრს ჩაასახლებენ პატარა სოფლებში, და არ გაუშვებენ იმ ადგილებში, სადაც წინედ უცხოვრიათ, ამიტომ ჩვენმა იქ წარმომადგენელმა რუხაძემ აგრეთვე თვით სომხის წარმომადგენლებმა სთქვეს, რომ ერთი წელიწადი მაინც დაგვჭირდება, რომ ეს შესრულებულ იქნეს.

ამის შემდეგ, ეჭვი დაიბადა, შეიძლება თუ არა, რომ ოსმალების დაცვის ქვეშ ჩვენ გაუშვათ აქედან ეს ლტოლვილები. მე უთხარი რუხაძეს, რომ წასულიყო მაყაშვილთან და იქ ენახა ოსმალეთის სარდალი და ეკითხნა თუ აძლევენ იმისთანა გარანტიას, რომ ჩვენი ჯარი ლტოლვილებს შიგ შეჰყვება და არას აუტეხავენ და არ ამოხოცავენ. ამ საქმეებში, რასაკვირველია, კომისიის მუშაობა დაგვიანდა. შევეკითხე მე და ასეთი პასუხი მომცა მაყაშვილმა (კითხულობს მაყაშვილის პასუხს).

აი, მაშასადამე, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ ვცდილობდით და ვმუშაობდით, თუ დავაბრუნებთ ამ ხალხს, რომ ეს დაბრუნება მოხდეს ჩქარა, მოხდეს პლანით.

აქ კი ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ არ შედიხართ შიგ და ამით აბრკოლებთ მათ დაბრუნების საქმესო.

უნდა ვსთქვა, რომ ამ საქმის გამორკვევამდის რუხაძე, რასაკვირველია, ვერ დაბრუნდებოდა.

ეს გამოირკვა გუშინ, გუშინ წინ ჰქონდა მოლაპარაკება მაყაშვილს ხალილ-ბეისთან. მოლაპარაკება სწარმოებდა სოფელ აგარაში.

მაგრამ ჩვენ უკვე დავნიშნეთ ჩვენი წარმომადგენელი ამ კომისიაში.

მე მგონია, რომ თუ ეს ყველაფერი იცოდა ბატონმა ზორიანმა, არ იტყოდა, რომ აქ ჩვენ რამე დავაბრკოლეთ.

აი ასეთია ზრუნვა ჩვენი ამ საქმეში.

აქ ეხლა სთქვა ბ. ივანე გომართელმა, რომ „წმიდა ბერი წმიდად წაწყდაო“.

მე ცოტა არ იყოს გამეცინა, თუმცა მე მგონია წაწყმედა არ უნდა მოჰყვეს.

ჩვენ გვინდა მართლაც, რამდენადაც შესაძლებელია წმიდა დემოკრატიული პრინციპი დავიცვათ და, მე მგონია, ამას წაწყმედა კი არ მოჰყვება, საბოლოოდ მოჰყვება უეჭველად ჩვენი გამარჯვება, თუ მე გზას დავადექით ბოლომდის (ტაში).

### ნოე ჟორდანიას მესამე სიტყვა.

მოქალაქენო, მე მსურს თქვენ მოგახსენოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტიური შენიშვნა.

ეხლა აქ მოქალაქე ავეტისიანმა სთქვა, რომ ხდება მთავრობის და მთავრობის ფრაქციის და ყველა ფრაქციის წარმომადგენლების კრება, და ამ თათბირზე ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელს კი არ იწვევენო. მე უნდა ვსთქვა, რომ ეს არ არის მართალი. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა და სწორედ არ ყოფილა სწორედ ამ შეკითხვის დროსაც. არ ყოფილა არავითარი ფრაქციული კრება და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყვნენ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც ეკუთვნის ავეტისიანცი.

მთავრობა ყველა ფრაქციებს თითქმის ერთნაირად ექცევა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხდომაზე რაიმე პოლიტიკური კითხვა უნდა გადასწყდეს, ამ სხდომაზე ვიწვევთ ჩვენ სულ ყველას და არავითარ განსხვავებას, (გ. ვეშაპელი: თითქმის!) არ ვაძლევთ და შემდეგშიაც არ მივცემთ არც ერთ ჯგუფს.

მართლაც მე ამის წინააღმდეგ მივიღე რეზოლიუციები, რომელიც მომიტანა ბატ. ავეტისიანმა, საქართველოში მცხოვრებ დაშნაკელთა ორგანიზაციების კრების ერთნაირი „პროტოკოლები“ და მართლაც, რომ ამ კრების განაჩენები ეხება ჩვენს საერთო კითხვებს. ისეთ ნაირად იყო ეს კითხვები გადაჭრილი, რომ სრულიად დამაკმაყოფილებელია, და თქვენც დაგაკმაყოფილებთ რომ გაიცნოთ. ამიტომ მე მაკვირვებს „ორიზონი“, რომელიც ასეთ რამეებს სწერს, ვისი ორგანოა არის? თუ ის ორგანოა იმ ცენტრალურ კომიტეტის, რომელიც მოქმედობს საქართველოში, მაშინ ის რასაც იგი სწერს ერთია და ის პროტოკოლები, რომელიც წარმოადგინა ავეტისიანმა — მეორე.

მაგრამ მე ვიკითხე, ვისი ორგანოა ეს „ჰორიზონი“. და გვითხრეს, რომ ეს არის ორგანო აღმოსავლეთ ბიუროსი, აღმოსავლეთ ბიუროსი დაშნაკციუთიუნის პარტიისა.

მაშასადამე გამოდის, რომ ეს ყოფილა არა ორგანო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფ ამ პარტიისა, არამედ მთელ ამიერკავკასიის, ასე ვსთქვათ, დაშნაკცუთიუნის პარტიისა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ორგანო კითხვებს გადასწყვეტს არა ჩვენი რესპუბლიკის თვალსაზრისით, არამედ სულ სხვა რესპუბლიკის თვალსაზრისით.

აი სწორედ ეს წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს დღეს ამ ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციის და ამ საერთო მათ პარტიის ორგანოს შორის — და ეს ცენტრალური ორგანო აქ ჰქონიათ და არა ერევანში, ეს თავის თავად ცხადია, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთს ადგენენ საქართველოში მცხოვრებნი დაშნაკცაკანთა ორგანიზაციებში და მეორეს სწერს მათი ცენტრალური ორგანო „ჰორიზონი“.

მე მგონია, რომ მე სრულიად არა ვდებ ბრალს ამ პარტიას საერთოდ. იმის მასსას ძლიერ ჰსურს, რომ იყოს მშვიდობიანად ჩვენს მასსასთან და სხვების მასსასთან, მაგრამ როგორც ამბობენ, თავში ვინც არის, მაღლა მდგომი ხალხი, ვინც აკეთებენ პოლიტიკას ხალხისას, ვინც არის მოკალათებული ამ ცენტრალურ ორგანოში, აი ისინი არიან, ბატონებო, რომელნიც ამღვრევენ წყალს და აქაც ანხორციელებენ იმას, რასაც აკეთებენ ყველგან.

უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი ამბავი არ არის ჩვენთვის. ამაზედ წინადაც გვითქვამს, გვიწერია, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს პარტია განაგრძობს თვის პოლიტიკას.

აი დღეს აქ ბატონმა ავეტისიანმა სთქვა, რომ ოსმალებმა კომისიაში განაცხადეს, რომ ჩვენ არ ვაკავებთ თქვენს ლტოლვილებს, წავიდნენ თვის გზით, თავიანთ სახლებშიო.

ეს მათ დაიჯერეს და ააშენეს ეს აგიტაცია. და როდესაც ჩვენ ვეუბნებოდით ეს ასე არ იქნება, მართალი არ არის, ასე არ იქნება საქმე, ჩვენ არ დაგვიჯერებს.

ეხლა მე გეკითხებით, ვინ იცავს, ვინ მუშაობს ამ ხალხის სასარგებლოდ, ისინი თუ ჩვენ? ეხლა მომივიდა დეპეშა. იქ, წალკაში ალბად მივიდოდა „ჰორიზონის“ ნომერი და იტყოდნენ წადით, თავისუფალნი ხართ იქ ოსმალები გიშვებენ და მარტო ქართველები გაკავებენო. აი ის ტელეგრამა, რომელიც მე მივიღე მაყაშვილისაგან (კითხულობს დეპეშას, სადაც აღნიშნულია, რომ ლტოლვილები გადავიდნენ საზღვრებს და ოსმალებს საშინელი სროლა აუტეხეს).

აი ბატონებო, ასე სჩადიან ეს ჩვენი დაშნაკელები, ასე ზრუნავენ თავიანთ ხალხისთვის და თავიანთ ხალხს ასე ასამარებენ.

მე თქვენთვის მომინდვია ვისი პოლიტიკა იყო მართალი და მათთვის სასარგებლო.

# მთავრობაში

### მთავრობის წარმომადგენელნი კონფერენციაზე.

მთავრობამ დაადგინა: კავკასიის ერთა კონფერენციაზე დასასწრებლად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი.

### ქალაქის ლომბარდი.

ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გადაწყვიტოს ტფილისის ქალაქის ლომბარდის წესდების შეცვლა იმ აზრით, რომ მასში ჩამატებულ იქნეს წესები შესახებ კერძო პირთაგან შეტანილების („ვკლადი“) ლომბარდის საალებმიცემო საშუალებათა შესაფასებლად.

### კრედიტის გახსნა.

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 9,050 მან. ტფილისის სახაზინო პალატის მოსამსახურეთათვის საჭირო სალიკვიდაციო ხარჯების დასაფარავად.

### საზოგადოებათა შეთანხმება.

მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განათლების სამინისტროსთან ერთად მოახდინოს ხაშურისა და სურამის საზოგადოებათა შეთანხმება ხაშურის გიმნაზიის ხაშურიდან სურამში გადატანის შესახებ.

### სალვთო სჯული.

წინადადება მიეცეს სასკოლო კომისიას რომ ხელახლად დანიშნოს სხდომა სალვთო სჯულის სკოლებში სწავლების მოსპობის საკითხის გასარჩევად განათლების მინისტრის თანადასწრებით.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ლტოლვილთა საქციელი.

სად. სართიჭალის უფროსი ატყობინებს დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მესამასე ვერსზე აგებულ ხის ფარდულებს სომეხი ლტოლვილები შეშის უქონლობის გამო სჩეხენ და სწვავენ ასე, რომ ამ ერთ თვეში ხის ფარდულებიდან არაფერი არ დარჩება, რაც ძლიერ დიდ ზარალს მოუტანს ხაზინას.

### ხარჯთ-აღრიცხვა.

სოჭის ოლქის კომისარმა წარმოუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვა სოჭის საოლქო კომისარიატისა, დასამტკიცებლად.

### ციხის დაცვა.

ტფილისის საგუბერნიო კომისარი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება უბოძოს დუშეთის სამაზრო ციხის დაცვის შესახებ სამხედრო უწყების საშუალებით მილიციის შტატის სიმცირის გამო.

### იარაღის ნებართვა.

ტფილისის საგუბერნიო კომისარი ბ-ნი მაღლაკელიძე შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყარაიაზში გადმოსახლებულ ლტოლვილთ შეიძლება თუ არა დაურიგდეს იარაღი თავის დასაცავად.

### მინისტრის მორჩენა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი სრულიად მორჩა ავადმყოფობიდან და ამ დღეებში სამსახურის აღსრულებას შეუდგება.

### ლტოლვილნი ფოთში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო შეკითხვა გზათა სამინისტროსაგან: ვინ იქნება წარმომადგენლათ შინაგან საქმეთა სამინისტრო-

...ან ფოთში ლტოლვილთა მოწმობების მიაცემად შეღავათიან ტარიფით სამგზავროთ.

### ცარცვის გამო.

მთიელ ხალხთა რესპუბლიკის თავმჯდომარეს თხოვნის თანახმად საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მოახდინოს სათანადო განკარგულება მთიელთა ხალხის რესპუბლიკის თავმჯდომარის თხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელთაც უკანასკნელი აცნობებს საქართველოს მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაძარცვეს მთიელთა მთავრობის მოხელე დავით ტანგიევი, რომელსაც წაართვეს 18 ათასი მანეთი, მოქალაქე ასლან გირეი ხაშაკულოვს 25 ათასი მანეთი. აგრეთვე მთავრობის კურიერი ჯამბაილ ბეი ალბაგაჩი—27500 მანეთი და დაჭრილია უკანასკნელი ხელში და სთხოვს საქართველოს მთავრობას ბოროტმოქმედთა დასაჭერად და დასასჯელად ზომების მიღებას.

## გზათა სამინისტროში.

### კრედიტი ხიდების შესაკეთებლად

სოხუმის ოლქის უფროსი ჩხარტიშვილი დეპეშით სთხოვს გზათა მინისტრს სამასი ათას მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ სოხუმ-ზუგდიდის შუა მდებარე ხიდების შესაკეთებლად. და საჭირო მასალის გადაცემას შავი ზღვის სანაპირო რკინის გზიდან თანახმად ინჟ. შევრცელის ჩვენებისა. გარდა ამისა სთხოვს ამასთან ერთად ნებართვას საოლქოსთან შტატის შექმნას ერთი ინჟინრის და ორი ტეხნიკოსისაგან ამ საალდებულო საქმის სისრულეში მოსაყვანად, ვინაიდან ტფილისს არ ძალუძს საოლშენებლო საგზაო საქმის სრულ რეორგანიზაციამდე გაუძლევს ამ საქმეს და თვის ნებაზე მიშვებულნი გზის მშენებელნი ძველ ბოროტ-მოქმედებას განიმეორებენ და რევიზიის მოახლოვების შემდეგ მოკურცხლავენ.

### წესიერ მიმოსვლის აღდგენა ბაქოსთან

გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსის ტოლსტონოგოვისაგან გზათა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო სადგ. ევლახიდან: „ადერბეიჯანის რკინის გზებზე ამ დღეებში მოძრაობა წესიერ კალაპოტში ჩადგება და დაიწყება წესიერი სახალხო და საქონლის მატარებელთა მიმოსვლა ტფილისგანჯა-ბაქოს შუა. საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის გზებზედაც, რომელიც ადერბეიჯანის ლიანდაგს უკავშირდება, წესიერი მოძრაობა დაიწყოს თანახმად ადერბეიჯანის მთავრობის თხოვნისა“.

### ლაპარაკი ტელეფ. ტელეგრაფით რკინის გზებზე.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უფროსმა შემდეგი ბრძანება გასცა მთელ ლიანდაგზე: „რკინის გზის ლიანდაგის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორმა ბრძანებით საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის ლიანდაგის მიდამოებში და ფოთის ნავთ სადგურში აღკრძალულია სამსახურის შესახებ ლაპარაკი ტელეგრაფით და ტელეფონით სხვა ენაზე გარდა ქართულის და რუსულისა. ზემო აღნიშნული განკარგულება გამოეცხადოს ყველა აგენტებს ხელ მოწერის ჩამორთმევით“.

## განათლების სამინისტროში

### კრედიტი.

სახალხო განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა საჩქაროდ გადაიდოს 44,296 მან. 67 კ. ბორჯომის სახელოსნო სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირების და სკოლის ხარჯების დასაკმაყოფილებლათ.

### სპეციალი სასწავლებლები.

10 ნოემბერს ტფილისში შესდგა საქართველოს სპეციალურ სასწავლებელთა წარმომადგენელთა სხდომა, რომელსაც მიზნობილი ჰქონდა აღნიშნულ სასწავლებელთა ახალი შტატების შემუშავება.

### საჭიროა მასწავლებლები.

ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში თავისუფალია 2 სპეციალურ საგნის მასწავლებლის ადგილი. მსურველთ უნდა მიმართონ სასწავლებლის გამგეს გიორგი ვაშაკიძეს ბორჯომში.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### მინერალური წყლის მადნები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მინერალურ წყლის მადნების მისაღებად შემდგარი იყო 5 კომისია: 1) კახეთისა (სიღნაღთელავ-თიანეთის მაზრები) 2) დუშეთ-ტფილის-ბორჩალოსი; 3) გორ-შორაპნისა; 4) ქუთაის-რაჭისა და 5) ოზურგეთ-სენაკ. ზუგდიდისა. ამ კომისიებს დღემდე მიუღიათ: პირველს: ა) ახტალის ტალახიანი მადნები და ბ) შაქრიანის სამინერალო ადგილები. მეორეს: 14 მადნეული, მათ შორის კერძო მესაკუთრეთა 2 და სახელმწიფო მიწაზე 12-მესამეს: 7 მადნეული, მათ შორის კერძო მესაკუთრის 1 (ჟამურისა). მეოთხეს—3 ოზურგეთის მაზრაში, 2 სენაკისაში და 1 ზუგდიდისაში მეხუთე კომისიას მიუღია ყველა მინერალურ წყლის მადნები ქუთაისის მაზრაში. რაჭის მინერალურ წყლის მადნების გამოკვლევა გადიდო მომავალ წლისთვის. ტფილისის კომისიას მიუღია ორი ტბა გლაუბერის მარილისა ს. მალხაზოვკასთან: „გოგილი ტბა“ და „სახარე ტბა“. ეს ტბები იჯარით იცემა გლაუბერის მარილის დასამუშავებლად. სულ ამ ტბებში დაახლოვებით რამდენიმე მილიონი ფუთი მარილი მოიძებნება.

## დროებითი ზავი.

ბერლინი, 11 ნოემბერი. დროებითი ზავის ჩამოგდების გამო დღეს შუადღისას მთელ ფრონტზე საომარი მოქმედება შესწყდა.

# რევოლიუცია გერმანიაში

### (ცნობები მოსკოვიდან)

კიევი. 9 ნოემბერი. ცნობაა, რომ ვილჰელმი გადადგა ტახტიდან.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. უკანასკნელი ცნობით გერმანიის ჯარის კაცებმა დაატუსაღეს გერმანიის გენერალთა კომისია, რომელიც დროებითი ზავის მოსალაპარაკებლათ გაემგზავრა. გერმანიის ჯარის კაცები დამოუკიდებელ მოლაპარაკებას აწარმოებენ ფრანგ ჯარის კაცებთან.

კაიზერი ვილჰელმი ტახტიდგან გადადგა. კანცლერი პრინც მაქს ბადნელი თანამდებობიდან გადადგა. ახალ კანცლერათ ინიშნება მთავრობის სოც.-დემოკრატი ებერტი.

სამხრეთ გერმანიის ყველა დიდ ქალაქებში საერთო გაფიცვაა. გერმანიის ფლოტი რევოლიუციის მომხრეა. რევოლიუციონურ ფლოტის ხელშია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის ნავთსადგურები.

დღეს გერმანიიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ რევოლიუციაა. პირველათ კილში გადავიდა ძალა-უფლება მუშათა და მეზღვაურთა საბჭოების ხელში, შემდეგ კი ბერლინში.

ყველას, ყველას. ზომები მივიღეთ, რომ ყველა მოსაზღვრე პუნქტებში გერმანელ ჯარის კაცებს შემდეგი შევატყობინოთ: ბერლინიდან გვატყობინებენ, რომ გერმანელმა ჯარის კაცებმა ფრონტზე დააპატიმრეს ძველი მთავრობის საზავო დელეგაცია და თვით დაიწყეს მოლაპარაკება ზავზე ფრანგ ჯარის კაცებთან. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

გერმანული პრესა.

პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გადადგეს. პრესის ცნობით პრუსიის სახელმწიფო სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს ნაციონალ-ლიბერალს ფრიედბერგს დავალებული აქვს ახალი კაბინეტის შედგენა. სამინისტროში, ალბათ, შევა ორ-ორი წარმომადგენელი ყველა უმრავლესობის პარტიიდან. მინისტრი სპაინი, ცენტრის პარტიის წევრი და ფიშბეკი, პროგრესიულ სახალხო პარტიის წევრნი, ახალ მთავრობის შემადგენლობაში რჩებიან. ქარხნების მართველ წრეებში და სავაჭრო კავშირების (ტრედ უნიონების) დირექტორმა თათბირზე სახელმწიფოს მრეწველობის მოწყობის ხელმძღვანელების თანადასწრებით, დაადგინეს,-დაარსონ სპეციალური ბიურო, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება ვაჭრობის და შრომის დეპარტამენტთან და რომელსაც დიდი უფლება ექნება.

საკავშირო საბჭომ გადასწყვიტა, მიიღოს ზომები დემობილიზაციის შემდეგ ბინის კრიზისის ასაცდენათ.

ბერლინის ნაშუადღევის გაზეთები ბჭობენ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა სოც.-დემ. ულტიმატუმმა, რომელსაც მშვიდობიანი კილო აქვს, მაგრამ მაინც კრიტიკულათ ეპყრობა მას. მემარცხენე ლიბერალური გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატიას, თუმცა მას არ მისდევს უმრავლესობა, სურს თავის სურვილი და ნება დააკანონოს. გაზეთი გამოსთქვამს სურვილს, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ფრონტის და სახელმწიფოს მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც გადასწყვეტს იმპერატორის ბედს, მთელ კონსტიტუციის რეფორმაციას და კითხულობს: ამ შემთხვევაში ჩვენ ხომ არ გვაქვს საქმე იმ შექნილ პარლამენტარულ სისტემასთან, რომელსაც მხოლოდ ერთი კანონი აქვს, უმრავლესობის ნება-სურვილი? ჩვენ არ გვსურს თვითმპყრობელი, მაგრამ არ გვსურს არც 104 (ამითი გულისხმობს სოც.-დემ. ფრაქციას) და იქ, სადაც არ სწყვეტს უმრავლესობა, არის თვითმპყრობელობა ამა თუ იმ სახით. მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან გამოგვიყვანოს ჩვენ ამ არევდარევისგან და ჩვენი მიზნები განახორციელოს.

სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსულ ცნობების თანახმათ, სჩანს, რომ მღელვარება იზრდება. შეიარაღებულ მეზღვაურთა და ხელმძღვანელთა დეპუტაცია სხვა და სხვა ადგილებში იგზავნება. სხვა და სხვა ქალაქებში მათ სხვა და სხვა ნაირათ ხვდებიან. „გერმანია“ ირწმუნება, რომ რადიკალური წრეები აღელვების მხრივ ყველაზე უფრო გულცივობას იჩენს, მაგრამ იმავე დროს ცდილობს სახელმწიფოს თავდაცვის უნარი შეუნარჩუნოს.

ბერლინის „ბირჟის გაზეთი“ აგრეთვე მთელი მემარჯვენე პრესა აფრხილებს, მეორეს მხრით, რომ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ ბოლშევიკურ საფრთხეს, რომელიც არა თუ მარტო გერმანიას, არამედ მთელ ევროპას ემუქრება. იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებიდან მიღებულ ერთნაირ ცნობებიდან ერთი დასკვნა გამომდინარეობს, თუმცა წვრილმანებში ბევრი რამ გაურკვეველია, რომ მთელი მოძრაობა რუსეთიდან მომდინარეობს და რომ ამას ხელს უწყობდა საბჭოთა რუსეთის ყოფილი წარმომადგენელი ბერლინში. როგორც თვით ბოლშევიკური მთავრობა მოწმობს, მას ძალა-უფლების შერჩენა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკური იდეები გავრცელდება გერმანიაში და შემდეგ მთელ ევროპაში. მათ იცოდნენ, რომ ბოლშევიკური იდეები გერმანელ ხალხს, მთლიანად, ვერ მოაჯადოებდა, სისტემატიურად სცდილობდნენ უკმაყოფილო ელემენტების და ჯარის ერთი ნაწილის გადაბირებას, თუმცა მათ უდიდეს ნაწილს არ აგებინებდნენ მათ ნამდვილ მიზნებს.

ბერლინში აქამდე საერთოდ სიწყნარეა ადმინისტრაციის და ორგანიზაციულათ შეკავშირებულ მუშების მიერ მიღებულ ზომების წყალობით. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რესტორანები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი ჩვეულებრივათ მოქმედებენ. მუშაობა არ შეუწყვეტიათ აგრეთვე თეატრებსა და სინემატოგრაფებს. პარლამენტარულ მდგომარეობის გამოცვლის გამო რეიხს-კანცლერი პრინცი მაქს ბადენელი თანამდებობიდან გადადგა. გაჩაღებულია მოლაპარაკება კოალიციურ მთავრობის შექნაზე სოც.-დემ. პარტიის უმრავლესობის, რომლის წარმომადგენელი ებერტი რეიხს-კანცლერის თანამდებობაზე მყოფი მართველობის სათავეში ამ ჟამად და დამოუკიდებელ სოც.-დემ. და აგრეთვე სხვა პარტიათა შორის. სოც.-დემ. პარტიამ წინადადება მისცა დამოუკიდებლებს შექმნან მთავრობა, რომელშიაც ორივე მხრის წარმომადგენლები შევლენ თანაბრად. ის ამასთანავე ხელმძღვანელობს სურვილით, რომ ასეთ მძიმე დროს თავიდან აცილებულ იქმნეს ყოველგვარი წინააღმდეგობა, რათა გერმანიის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ადგილი არ ჰქონდეს ძალმომრეობათა გამოსვლებს, რომ მან მიაღწიოს თავის მიზნებს. დამოუკიდებლებმა მთავრობის წევრთა კანდიდატებათ დაასახელეს: ჰააზე, ლიბკნეხტი დ ებერტი. სოც.-დემ. პარტიის გამგეობა მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ იუწყება: „დამოუკიდებლები მოითხოვენ, რომ გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდეს, სოც.-დემ. პარტ. მიზანი იგივეა, ხოლო მას სურს ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს თვის ხალხს და დამფუძნებელ კრებას. დამოუკიდებელნი მოითხოვენ აგრეთვე, რომ მთავრობის მთელი აღმასრულებელი საკანონმდებლო და იურიდიული ფუნქციები მთელი ხალხისა და ჯარის მიერ არჩეულ სანდო პირებს გადაეცეს. სოც.-დემ. პარტ. ეს მოთხოვნილება უარჰყო, რადგან იგი ნიშნავს ხალხის ერთი ნაწილის, ერთი კლასის დიქტატურას, რაც ეწინააღმდეგება ძირითად დემოკრატიულ საფუძვლებს. შემდეგი მოთხოვნილება დამოუკიდებლებისა, რომ მთავრობაში არ შევიდნენ ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლები, სოც.-დემ. პარტიამ უარჰყო, რადგან მას სურს არ შესწყდეს მცხოვრებთათვის სურსათის წესიერი მიწოდება. დამოუკიდებლებმა წინადადება წარმოადგინეს, რომ მათი წარმომადგენლები მხოლოდ 3 დღით შევიდნენ მთავრობაში, (რათა ამნაირად შეიქმნეს მთავრობა, რომელიც შესძლებს დროებით ზავის ჩამოგდებას). სოც.-დემ. ამის საპასუხოდ შემდეგი მოთხოვნილება წარმოადგინეს: ყოველ შემთხვევაში ორივე სოციალისტური მიმდინარეობა ერთად უნდა მოქმედებდეს დამფუძნებელ კრების მოწვევამდეო.

### გერმანიის დელეგაციის ცნობა.

თუ რა ხდება გერმანიაში,—ეს ჩვენ ვიცით მხოლოთ ერთი წყაროდან. ეს წყაროა: შეიდემანის სიტყვა, წარმოთქმული რეიხსტაგში. ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ იმპერატორი ვილ-...ში შესდგა ახალი მთავრობა, რომლის სათავეში სოციალ-დემოკრატი ებერტია. ახალი მთავრობას გამოუშვია მოწოდება, სადაც ამბობს, რომ ახალი მთავრობაა გერმანიაში ებერტის მეთაურობით, რომელიც ცდილობს მომხდარი გადატრიალება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩატარდესო.

ბერლინში შესდგა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო. სოციალისტებში განხეთქილებაა და იდეური ბრძოლა სწარმოებს. უმრავლესობა—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია—ახალ მთავრობას მხარს უჭერს და სრულ ნდობას უცხადებს მას და იგი მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას. დამოუკიდებლები—რომელთა სათავეში სდგას ლიბკნეხტი, ჰააზე, ებერტი—მოითხოვენ დაუყონებლივ სოციალისტურ წეს-წყობილების დამყარებას.

მთავარი გერმანიის რადიო-სადგურები ახალი მთავრობის ხელშია. ახალი მთავრობის ცნობით გადატრიალებას უსისხლოთ ჩაუვლია. ხდება ეს მარტო ბერლინში (პრუსიაშია), თუ გერმანიის სახელმწიფოს სხვა ნაწილებშიც,—ბავარიაში, საქსონიაში, ვიურტენბერგში,—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ჯარები ახალი მთავრობის მხარეზეა.

ამ ამბების შესახებ დელეგაციას ჯერ ოფიციალური ცნობა არ მოსვლია.

### გერმანიის პრესა.

შაბათს დილით, 9 ნოემბერს, სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ კაბინეტს სტოვებს. ამის შემდეგ სოციალისტებს და დამოუკიდებელ სოციალისტების კომიტეტს სხდომა ჰქონდათ რეიხსტაგში, სადაც გამოცხადდენ ბერლინში და მახლობელ ქალაქებში მდგარი სხვა და სხვა პოლკის დელეგატები, რომლებმაც განაცხადეს თავისი ერთგულება ახალ სახალხო მთავრობის წინაშე. გაზეთ „ფორვერტსის“ ბინაზე გამოცხადდა თოფებით შეიარაღებული სამასი კაცი, იმ მოსაზრებით, რომ დაიცვან გაზეთი ძველი რეჟიმის მოტრფიალეთა თავდასხმის შესაძლებლობისაგან.

მოძრაობა ჯარში გამოიწვია პარლამენტის წევრის ველსის სიტყვამ ალექსანდრეს პოლკის ეზოში. მისი სიტყვის შემდეგ პოლკმა დიდძალ ოფიცრებთან ერთად დაადგინაა ზემოხსენებული დელეგაცია გაეგზავნა რეიხსტაგში. შუადღისას სოციალისტები: ებერტი და შეიდემანი ჯარ-შემორტყმული სამხედრო ავტომობილით კანცლერთან გაემგზავრენ და განუცხადეს, რომ გადაწყვეტილია ძალა-უფლება ხელში აიღონ მათ. რეიხსტაგში მოვიდა ახალი დელეგაცია 3.000 მეზღვაურთაგან გამოგზავლინი. მეზღვაურებს კი შუადღის შემდეგ მოელიან ბერლინში. იუწყებიან, რომ ისინი მზად არიან ახალ სახალხო მთავრობას ერთგულება შეჰფიცონ. გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტი“-ს სასწრაფო გამოცემაში დაბეჭდილია შემდეგი მოწოდება საყოველთაო გაფიცვისათვის: „ბერლინის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ დაადგინა მოახდინოს საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა ყველგან შეჩერებულია. მცხოვრებთათვის საჭირო სურსათის მიწოდება უნდა გრძელდებოდეს. მეციხოვნე ჯარის უდიდესი ნაწილი ტყვიის-მფრქვეველებით დ ვინტოვკებით თავის ნებით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. მოძრაობას ხელმძღვანელობს გერმანიის სოც.-დემ. და დამოუკიდებულ სოც.-დემ. პარტია. მუშებო და ჯარის კაცნო, ეცადეთ დაიცვათ სიმშვიდე და წესრიგი. გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო“.

გერმანიის სხვა და სხვა კუთხიდან იუწყებიან, რომ მოძრაობა ძლიერდება. საჩქაროთ აარსებენ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს, რომელნიც უკვე არსებულ მთავრობასთან ერთად მოქმედებენ.

ქარხნების სამხედრო გარნიზონებმა მუშებთან ერთად მიატოვეს საქარხნო დაწესებულებანი და ერთად მოქმედებდენ. ბრბოს მხოლოდ ერთგან მოუხდა შეტაკება ჯართან, მსროლელთა გვარდიის გარნიზონთან, მაგრამ, ამათგან მხოლოდ 2-მა ოფიცერმა ისროლა. აქ მოკლულია 3 და დაჭრილია 1. დაწესებულებათა უმეტესობა ადვილათ ჩაიგდეს ხელში, მას შემდეგ რაც გამოირკვა რომ ჯარი ხალხის მხარეზე გადავიდა. 1 საათზე რეიხსტაგში მოვიდა უმავთულო ტელეგრაფის გაფიცული მუშათა პროცესია. მსროლელთა რაზმმა დაიჭირა შესავალი, რომლის წინ ბრბო მოგროვდა. რეიხსტაგის წევრმა შეიდემანმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „იმპერატორი და კრონპრინცი ტახტიდან გადადგენ. დინასტია დამხობილია. ეს გერმანიის ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ებერტს დაევალა მთავრობის შედგენა, სადაც შევლენ ყველა ს.-დ. პარტიიდან მხოლოდ მთავრობის განკარგულება აქვს ძალა, რომელიც ებერტის ხელმოწერილია. სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელრო მინისტრის მხოლოდ ის განკარგულებანი უნდა ასრულდეს, რომელზედაც სოც.-დემ. კომისარს უწერია ხელი. შეიდემანმა მოუწოდა ხალხს წესიერება დაიცვან და გაუგებრობა აიცილონ თავიდან. ავტომობილიდან ილაპარაკეს პარლამენტის წევრებმა და რამოდენიმე ჯარისკაცმა. გვარდიის ბატალიონის ოფიცერმა განაცხადა, რომ ოფიცრობა ხალხის მხარეზეა. ლაპარაკის დროს ორატორებს ხალხი ტაშს უკრავდა და ოვაციებს უმართავდა.

კანცლერ ებერტმა გერმანიის მოქალაქეთ შემდეგი მოწოდებით მიმართა: ყოფილ კანცლერმა პრინც მაქს ბადენელმა, ყველა სტატს-სეკრეტართა თანხმობით გადმომცა კანცლერის თანამდებობა. პარტიის წევრებისაგან ვადგენ ახალ მთავრობას და შედეგს მალე ვაცნობებ ხალხს. ახალი მთავრობა იქნება სახალხო მთავრობა, რომელიც ყოველ საშუალებას მიიღებს ზავის საჩქაროდ ჩამოგდებაზე და მონაპოვარ თავისუფლების შენარჩუნებაზე.

გერმანიის პრესა 10 ნოემბერს. მოქალაქნო, ყველას გთხოვთ დაგვეხმაროთ იმ მუშაობაში, რომელიც ჩვენ მომავალში მოგველის. თქვენ იცით რა სერიოზულ ომს უქადის ხალხს სურსათის საქმე, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრების უპირველესი პირობაა. პოლიტიკურმა რევოლიუციამ არ უნდა დააბრკოლოს სურსათის მოწოდების საქმე. ყველას მოვალეობაა, როგორც ქალაქში ისე სოფლად არ დააბრკოლოს სურსათის დამზადება და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს მას. საკვების სიმცირეს სალარიბესთან ერთად თან სდევს ძარცვა-გლეჯა და ქურდობა. ამით უფრო დაზარალდებოდა ულარიბესი ნაწილი და მუშები. ის, ვინც საკვებ მასალას დაიტაცებს და ხელს შეუშლის მის მიწოდებას მცხოვრებთათვის ყველაზე დიდი დამნაშავე იქნება ხალხის წინაშე. მოქალაქნო, დაბეჯითებით გთხოვთ მიატოვოთ ქუჩები და დაიცვათ სიწყნარე და წესიერება. ებერტი.

კანცლერ ებერტმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „ახალმა მთავრობამ თავის თავზე მიიღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე, რათა გერმანიის ხალხი დაიცვას სამოქალაქო ომისა და სიმშილისაგან და ცხოვრებაში გაატაროს თვითგამორკვევის პრინციპები. ამ მიზანს მთავრობა იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მას მხარს დაუჭერს ქალაქის და სოფლის ადმინისტრაცია. მე ვიცი, რომ უმრავლესობისთვის ძნელია ახალ მთავრობასთან მუშაობა, მაგრამ მე მივმართავ მათ სიყვარულს სამშობლოსადმი. თუ ამ სერიოზულ დროს შესწყდება საზოგადოებრივ ცხოვრების ორგანიზაცია, მაშინ გერმანიაში გამეფდება ანარქია და საშინელი სილარიბე. ამიტომ ჩემთან ერთად შემდეგშიაც დაეხმარეთ ჩვენ ქვეყანას და აასრულეთ თქვენი მოვალეობანი. არა შიშის ქვეშ, არამედ სინიდისის ქვეშ; ყველა თავის ადგილზე დარჩით ვიდრე არ დადგება დრო, როდესაც მოვალეობა გაგვანთავისუფლებს.

# ოსმალეთი.

## ზავის პირობები.

სომხეთის დიპლომატიურმა მისიამ მიიღო ცნობა ზავის შესახებ, რომლითაც ოსმალეთი შეთანხმების სახელმწიფოებს შეეკრა: 1. ოსმალებმა უნდა დაიხიონ 1914 წლის საზღვრამდე. 2. თუ სომხების ვილაეტებში მოხდება რაიმე უწესოება ან ექსცესები, ამ ვილაეტებს დაუყონებლივ დაიკავებენ შეთანხმების სახელმწიფონი. 3. ოსმალეთმა შეთანხმების სახელმწიფოებს ხელი არ უნდა შეუშალოს ბაქოს დაკავებაში და 4. შეთანხმების სახელმწიფოთ უფლება ეძლევათ ოსმალეთში როგორიც სურთ ისეთი სტრატეგიული პუნქტი დაიჭირონ.

# კანონ-პროექტები.

## კანონ-პროექტი საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) მოპოებისა და დაკარგვის შესახებ.

1. იმ მკვიდრთ გარდა, რომელნიც მოხსენებული არიან საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წ. 16 ივლისის კანონში („საქართველოს რესპუბლიკა“ 1918 წ., № 1), საქართველოს მოქალაქეებათ (ქვეშევრდომებათ) აღიარებულ იქნენ:

ა) ყოველი ქართველი, სადაც და რამდენ ხანსაც არ უნდა სცხოვრობდეს, უკეთუ ის ექვსი თვის განმავლობაში წერილობით უარს არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე.

ბ) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქალი, რომელიც ცოლად წაჰყვება საქართველოს მოქალაქეს.

გ) ყოველი უცხო ტომის პირი, რომელიც განუწყვეტლივ სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ სამი წლისა 1914 წ. 14 ივლისამდე, უკეთუ ის ორი თვის განმავლობაში განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში აღნიშნული ვადები იწყება დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა "საქართველოს რესპუბლიკაში„. განცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობის დასამტკიცებელი საბუთი უნდა წარედგინოს ქალაქებში ქალაქის გამგეობაში-მაზრის კომისარს, ქალაქის გამგეობა და კომისარი აძლევენ მთხოვნელთ შესაფერ მოწმობას.

2) დანარჩენ უცხოელთ შეუძლიანთ საქართველოს მოქალაქეობის მოპოება მხოლოთ ნატურალიზაციის წესით.

3) ნატურალიზაციის მსურველი ასრულებს შემდეგ პირობებს:

ა) აძლევს ადგილობრივ ქალაქის გამგეობას ან მაზრის კომისარს, იმის მიხედვით, თუ სად იცხოვრებს, განცხადებას, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა, ბ) ქალაქის გამგეობა ან მაზრის კომისარი აძლევს მას მოწმობა ასეთი განცხადების შეტანის შესახებ, გ) ამ მოწმობის მიღების დღიდან მან უნდა იცხოვროს საქართველოში არა ნაკლებ ხუთი წლისა.

დ) ამ ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქეობის მოპოების მსურველი აძლევს ამის შესახებ თხოვნას შინაგან საქმეთა მინისტრს და თან ადგენს: ქალაქის გამგეობის ან მაზრის კომისარის მოწმობას, რომ იგი სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ ხუთი წლისა დღიდან ზემოთ აღნიშნულ მოწმობის (ლიტ. გ.) მიცემის და აგრეთვე თავის წინანდელი სამშობლოს მთავრობის მოწმობას, რომ მას მოხდილი აქვს სამხედრო ბეგარა, ან განთავისუფლებულია ამ ბეგრისაგან, უკეთუ საქართველოს დადებული აქვს იმ სახელმწიფოსთან, რომლის ქვეშევრდომიც მთხოვნელი იყო, ხელშეკრულობა სამხედრო ბეგრის მოუხდელ პირთა გაცემის შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში ნატურალიზაციისათვის დადებული ხუთი წლის ვადა შეიძლება შეუმცირდეს ან სულ არ მოეთხოვოს მათ, ვისაც სამეცნიერო შრომით, ან სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობით, ან სხვა მხრივ თვალ-საჩინო ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე.

4) შინაგან საქმეთა მინისტრი უდგენს საქმეს მთავრობას, რომელიც ან აკმაყოფილებს მთხოვნელის შუამდგომლობას ან უყურადღებოთ სტოვებს, თუნდაც ყველა ფორმალური პირობები შესრულებული ჰქონდეს.

5) საქართველოს მოქალაქე ქალს, რომელიც უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს ცოლათ წაჰყვება და შემდეგ დაქვრივდება ან მას კანონიერი წესით გაეყრება, ნება ეძლევა აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა. ამ მიზნით მან უნდა მისცეს განცხადება ქალაქის გამგეობას ან მაზრის კომისარს იმის მიხედვით, თუ სად სცხოვრობს და იღებს მისგან შესაფერ მოწმობას მოქალაქეობის აღდგენის შესახებ. აგრეთვე ამ ქალის შვილებს შეუძლიათ ასეთივე წესით მოიპოვონ საქართველოს მოქალაქეობა თუ ისინი ამას ითხოვენ ერთი წლის განმავლობაში დღიდან სრულწლოვანობის შესრულებისა. შემდეგ კი მათი ცნობა მოქალაქეებათ შეიძლება მხოლოთ საზოგადო წესით.

6. ყოველი პირი, რომელსაც მთავრობა თავის დადგენილებით მიანიჭებს, საქართველოს მოქალაქეობას, სდებს შემდეგ ფიცს: „მე, ესა და ეს პირი, ვფიცავ, რომ ვიქნები საქართველოს ერთგული ქვეშევრდომი, პირნათლად დავიცავ მის კონსტიტუციას და ყველა სხვა კანონებს და სინდისიერად ავასრულებ ყოველივე მოვალეობას საქართველოს მოქალაქისას“. ეს ფიცი მიიღება ქალაქებში ქალაქის თავის წინაშე და მაზრებში კომისარის წინაშე თავის სარწმუნოებისა მიხედვით. ვინც თავის სარწმუნოებისა ან რწმენის გამო არ იზიარებს საჭირო აღთქმას სდებს და ხელს აწერს აღთქმის ფურცელს.

7. საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავენ:

ა) ვინც უცხო ქვეშევრდომი გახდება სხვა სახელმწიფოში ნატურალიზაციით.

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს ჯარში ჩაერიცხება ან რაიმე სახელმწიფო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად.

გ) ვინც (ქალი) უცხო ქვეშევრდომს ცოლად წაჰყვება.

დ) ვინც საზღვარ-გარეთიდან საქართველოში არ დაბრუნდება სამხედრო ბეგარის მოსახდელათ.

8) საქართველოს მოქალაქეს, უცხო ტომის შთამომავალს, უფლება ეძლევა ყოველთვის, როცა მოისურვებს, უარი სთქვას საქართველოს ქვეშევრდომობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია სამუდამოთ დასტოვოს საქართველოს საზღვრები სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც საქართველოს მთავრობა მთხოვნელს გაანთავისუფლებს ქვეშევრდომობისაგან.

# ძეგვის ხიდი

რკ. გზის საერთო საქმეთა მმართველის ფიცხელაურისაგან სად. ძეგვიდან შემდეგი დეპეშები მიიღო გზათა მინისტრმა: 1) „11 ნოემბერს ნაშუადღევის 1 საათზე ორთქლმავალი 7 დატვირთულ ვაგონით მშვიდობიანათ გავატარეთ ხიდზე. შევუდექით სამგზავრო მატარებლების გატარების საქმეს № 4-სა და მის შემდეგ სახალხო მატარებელ № 23-სა“. ეს დეპეშა დილის 15 ს. 5 წ. არის გამოგზავნილი. მეორე დეპეშა ქვეით მოყვანილი ერთი საათის შემდეგ. 2) „სამგზავრო მატარებელი № 4 მშვიდობიანათ გავატარეთ, გაიხსნა პირდაპირი გადაუჯდომლივი მოძრაობა.

—

გზათა უფროსის თანაშემწე ინჟ. კენგემ შემდეგი განკარგულება გასცა ტფილისსა და ფოთის შუა სადგურების უფროსთა სახელზე: „მე-262 ვერსზე დაზიანებულ ძეგვის ხიდის სრულ შეკეთების გამო 12 ნოემბრიდან დადგენილია სწრაფ მატარებელ № 1 და № 2 მიმოსვლა ტფილისსა და ფოთს შუა გამოცხადებულ დროზე. მატარებელი № 2, რომელიც დღემდე სად. ხაშურში იდგა 12 ნოემბრიდან უნდა გამოშვებულ იქმნეს ტფილისისაკენ თავის დროზე“.

—

გუშინ გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს:

„მოგახსენებთ, რომ ძეგვის ხიდი იმ ზომამდეა აღდგენილი, რომ მასზე განუწვეტელი მოძრაობა შეუფერხებლივ შესაძლოა. გუშინ 11 ნოემბერს ხიდზე მშვიდობიანათ გავატარეთ ექვსი მატარებელი. რკინის ნაწილების საბოლოო შემაგრების საქმე ძლიერ ნაყოფიერად სწარმოებს.

# ქრონიკა

○ გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით ოსმალებს ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ და არც აპირებენ წასვლას. შევკეთ ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალები სრულებით არ ფიქრობენ გუმბრის დაცლასო.

○ 11 ნოემბერს ტეხნიკურ სასწავლებელიდან ბოროტ მომქმედებმა წაიღეს 10 ათასი მანეთის თეთრეული.

○ 9 ნოემბერს საღამოს 9 საათზე მაქსიმოვის ბინიდან ნიკოლოზის ქ. 120, ბოროტ მომქმედებმა წაიღეს 8 ათასი მანეთი.

○ 10 ნოემბერს მილიციის მოხელეებმა განუცხადეს გაზ. „ორიზონის“ რედაქტორს შემდეგი ბრძანება გენერალ-გუბერნატორ მაზნიაშვილისა: „მე გენერალ-გუბერნატორმა ქ. ტფილისისა და მისი მიდამოებისა, გენერალმაიორმა მაზნიაშვილმა მივიღე რა მხედველობაში გაზ. „ორიზონის“ უკანასკნელ ხანებში მავნე მიმართულება, რომელსაც მიზნათ აქვს საქართველოს მთავრობის მოქმედების შესახებ ცრუ ხმების გავრცელება, ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდება, ხალხთა მასაში ანარქიის გამოწვევა და მტრული მოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, გადავწყვიტე შევაჩერო გაზ. „ორიზონის“ გამოცემა, ტფილისში სამხედრო წესების მოხსნამდე“.

○ პარლამენტის წევრი ვალ. ჯუღელი წასულა გემით სოხუმიდან ფოთში. გზაზე ატეხილა ღელვა. ჯუღელს მოუთხოვნია უფროსისათვის გემი ფოთში შევიდესო. უფროსს არ შეუსრულებია და როცა ტუაფსეში შესულან გემის უფროსს იქაურ მთავრობისათვის განუცხადებია ჯუღელი მოკვლას მიპირებდაო. მთავრობას ჯუღელი შინაურულ წესით დაუპატიმრებია. ჩქარა ცნობა მოსულა გენ. კონიაშვილისაგან, რომ ჯუღელი გაენთავისუფლებიათ, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, რაც მათ შეუსრულებიათ. გუშინ სახალხო გვარდიის შტაბმა დეპეშა მიიღო, რომ ჯუღელი პირველ გამოსულ გემით გამოემგზავრებაო.

# განცხადებები


ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივანე ანდრიას ძე ხოსაშვილის (იგივე ხოზრშვილი) მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ, თავისი უფლება ხოსაშვილის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. 1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 956 1—1

სამსონ ბესარიონის ძე გეგეშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი და იარაღის ტარების მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ მიაწოდოს შემდეგი მისამართით: მეჯვრის ქუჩა № 38, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 1020 3—1

ლევანტი გლახუას ძე ძნელაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სახალხო გვარდიაში თანამშრომლობის მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: არსენალი, საარტილერიო საწყობი. 1023 3—2

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე პეტრეს ძე გოლუბკინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გოლუბკინის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 831 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივანე ალექსის ძე კასატკინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კასატკინის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 955

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე გიორგის ძე მახვილაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მახვილაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 984 1-1

ქ. ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 ოქტ. 25 დადგენილებით, სამოქ. კან. წესდ. მე-1460[14] მუხ ძალით აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ალექსანდრე ნაზარის ძე მილოვის მიერ არკადი (იგივე არშაკ) ნაზარის ძე მილოვზე, ვექილობა, რომელიც შედგენილია ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1910 წ. მარტის 22 რეესტრი № 3328, გაუქმებულად ითვლება. 946 3—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 24 საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგებაში გაღება არა აქვთ დასახული, შეტანილია ვაჭრობა-მრეწველობის ხელის შემწყობი პოლონელთა საზოგადოება. 938 1-1

სარდიონ გიორგის ძე დარჯანია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის ფურცელი, მიღებული სენაკის სამხედრო უფროსისაგან, გიორგის მედალით და სამი თვის ვადიანი პასპორტი. ყველა ეს საბუთები გაუქმებულად ითვლება. 1019 1—1

მოწმობა, მიცემული ბაგრატ სერგის ძე მარტიროზოვის მიერ თავის მამაზე სერგის ქრისტეფორის ძე მარტიროზოვზე და შედგენილი უმცროს ნოტარიუს გრიგორიევთან 1901 წ. მაისის 16 რეესტრის 2404 №-ით გაუქმებულად ითვლება. 1016 3—3

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 31 კოოპერატივთა ამხანაგობის და მათი კავშირის ნუსხაში შეტანილია მომხმარებელი საზოგადოება „ეკონომია“. 1—937—1

სამტრედიის მომრიგებელი უბნის გამგე აცხადებს, რომ ვექილობა, მიცემული ოლღა დავითის ასულ ხურცილავას მიერ ნესტორ მიხეილის ძე გვალავაზე და შედგენილი ქუთაისის ნოტარიუს პავლე ივანეს ძე მოსიძესთან 1917 წ. დეკემბრის 28. № 2201, გაუქმებულად ითვლება. 1—891—1

სოფიო მათეს ასული კოზლოვსკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავის ქმრის კონსტანტინე პეტრეს ძე კოზლოვსკის პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის მმართველობიდან 1905 წ. 1—1030—1

ვააგა მელკონის ძე ნაზარეტიანცი აცხადებს, რომ ნოემბრის 6-ს მას ჯიბიდან ამოართვეს საფულე, რომელშიაც იყო 250 მ. კვიტანციები და უვადო პასპორტი, წამღებს თხოვენ მისთვის გამოუსადეგარი საბუთები დაუბრუნოს: ალექსანდრეს ქ. № 5. 1031 3—1

სამტრედიის მომრიგებელი უბნის გამგე აცხადებს, რომ ვექილობა, № 466 მიცემული ილარიონ იოსების-ძე მურღულაიას მიერ თეოდოსია ანდრიას ასულ მურღულაიაზე და შედგენილი სამტრედიის მომრიგებელ უბნის გამგესთან 1917 წ. სექტემბრის 5, მისი დადგენილებით, რომელიც შესდგა 1918 წ. სექტ. 2, გაუქმებულად ითვლება. 1—890—1


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.